პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 107 (5137)

1974 წ. 1 ივნისი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## გამარჯვებულებს — სპორტის ოსტატის წოდება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ გადაწყვიტა, რომ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე გამართულ მშდ კომპლექსის საკავშირო პირველობაში მეოთხე საფეხურის („ფიზიკური სრულყოფა“) პროგრამით გამარჯვებულ ქალსა და ვაჟს მიენიჭოთ სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება, თუ მრავალჭიდის ჯამში დააგროვებენ სულ ცოტა 550 ქულას.

## ჯილდო გარჯისთვის

აჭარის ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა ხუთწლედის გადამწყვეტ, 1973 წელს თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს: გადაჭარბებით შეასრულეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების გეგმა-ვალდებულების თითქმის ყველა ძირითადი მაჩვენებელი. ამას ხელი შეუწყო კოლექტივებს შორის გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომლის შედეგებსაც აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სპორტკომიტეტი ყოველწლიურად აჯამებს.

1973 წელს მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისთვის ბათუმის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტი (თავმჯდომარე ე. თხილაიშვილი) აჭარის ასსრ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშითა და პირველი ხარისხის სიგელით დაჯილდოვდა. ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონების ფიზკულტურის კომიტეტებს (თავმჯდომარეები რ. ჩახვაძე და ჯ. არობელიძე) II და III ადგილები მიეკუთვნათ. ისინი სიგელებით დაჯილდოვდნენ.

სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა შორის წარმატებას მიაღწია „განთიადის“ აჭარის საოლქო საბჭომ (თავმჯდომარე ვ. კვაჭაძე), რომელსაც გადაეცა აჭარის სპორტკომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ხარისხის დიპლომი.

II და III ადგილებზე არიან „კოლმეურნისა“ (თავმჯდომარე თ. ბოლქვაძე) და „სპარტაკის“ (თავმჯდომარე ე. ჯოჯუა) საოლქო საბჭოები.

ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმის უნარიანი ხელმძღვანელობისთვის კომიტეტის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ ე. თხილაიშვილი, რ. ჩახვაძე, ჯ. არობელიძე, ვ. კვაჭაძე, თ. ბოლქვაძე და ე. ჯოჯუა.

სპორტკომიტეტის სიგელებით დაჯილდოვდნენ, აგრეთვე, მოწინავე ფიზკულტურული კოლექტივები: საწარმო-დაწესებულებათა შორის — სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა (მეთოდისტი ო. დევდარიანი), სოფლის კოლექტივებს შორის — ხელვაჩაურის რაიონის სოფელ წინსვლის კოლმეურნეობა (მეთოდისტი მ. ჩხაიძე), ქალაქის სკოლებს შორის — ბათუმის 1-ლი ქართული საშუალო სკოლა (ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. თარგამაძე), სოფლის სკოლებს შორის — ჩაქვის რუსული საშუალო სკოლა (ფიზაღზრდის მასწავლებელი რ. ბასილია). ჯილდო მიიღო, აგრეთვე, შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა (სპორტკლუბის გამგეობის თავმჯდომარე გ. კოზმოვი).

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლექტივების ხელმძღვანელები ე. თხილაიშვილი და ვ. კვაჭაძე დააჯილდოვეს ერთითვის ხელფასით ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

## ორი მატჩი, ორი გამარჯვება

ნეაპოლი, 30 მაისი. იტალიის ამ ქალაქში მიმდინარეობს წყალბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ მასპინძლების, იუგოსლავიის, რუმინეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები. ორი ოლიმპიური ჩემპიონის — იუგოსლავიისა (მეხიკოს თამაშები) და სსრ კავშირის (მიუნჰენის ოლიმპიადა) ეროვნული გუნდების მატჩში გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 3:1. იტალიელებმა მოუგეს რუმინელებს — 7:4.

მომდევნო ტურში საბჭოთა წყალბურთელები შეხვდნენ რუმინელებს და სძლიეს მათ ანგარიშით 6:4. იტალიელმა სპორტსმენებმა მოუგეს იუგოსლაველებს — 7:4. გამარჯვებულს გამოავლენს მასპინძლებისა და საბჭოთა წყალბურთელების შეხვედრა.

## კვლავ უქაბოტინსკოდ

ევროპის 1974 წლის ჩემპიონატის ადგილად იტალიის ქალაქი ვერონა აირჩიეს. უჩვეულოდ „ხალხმრავალია“ ეს პირველობა: მასში 24 ქვეყნის 144 სპორტსმენი მონაწილეობს.

ტრადიციისამებრ, ასპარეზობა გახსნეს უმსუბუქესი წონის ძალოსნებმა. აქ ყველას აჯობა პოლონელმა ზ. სმალცეჟმა, რომელმაც ორჭიდის ჯამში 230 კგ დააგროვა. ცალკეულ მოძრაობებში მისი მაჩვენებლები ასეთია: ატაცი — 97,5, აკვრა — 132,5. ვერცხლის მედალი წილად ხვდა ბულგარელ მ. მუსტაფოვს — 227,5 (100 + 127,5). ბრინჯაოს მედალი ერგო უნგრელ ლ. სიუჩს — 227,5 (97,5 + 130). უნგრელი ძალოსანი ბულგარელზე ოდნავ მძიმე აღმოჩნდა. საბჭოთა ათლეტები ამ წონაში არ მონაწილეობდნენ.

საბჭოთა ძალოსანთაგან პირველი ფიცარნაგზე გამოვიდა მჩატე წონის ათლეტი, რიგელი გ. ანიკინი. გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონმა, ბულგარელმა ა. კიროვმა, რომელმაც ორჭიდში 257,5 კგ (110 + 147,5) დააგროვა. ვერცხლის ჯილდო წილად ხვდა ანიკინს, რომელიც გამარჯვებულს 10 კგ-ით ჩამორჩა — 247,5 (110 + 137,5). ბრინჯაოს მედალი ერგო ჩეხოსლოვაკიელ ჰ. პროლს — 245 (105 + 140).

საბჭოთა გუნდმა დანაკლისი განიცადა: ავადმყოფობის გამო ვერონაში ვერ გამოვა ტოკიოს და მეხიკოს ოლიმპიადების ჩემპიონი, ზემძიმე წონის ძალოსანი ლ. ჟაბოტინსკი. ასე რომ, ვერც კონტინენტის ჩემპიონატი გახდა ვ. ალექსეევისა და ჟაბოტინსკის „დასწრებული“ ორთაბრძოლის სარბიელი.

◆ ბრატისლავა, 31 მაისი. აქ გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო ასპარეზობაში ამ სეზონში მსოფლიოში საუკეთესო შედეგი აჩვენა ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა სამხტომში ვ. სანეევმა. იგი 16,99 მეტრზე გადახტა.

● ტუაფსე, 30 მაისი. აქ მოეწყო საერთაშორისო რეგატა „მეგობრობა“, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, ბულგარეთის, რუმინეთის, პოლონეთის სპორტსმენები. ყველა კლასში გამარჯვება მოიპოვეს მასპინძლებმა: „მფრინავ ჰოლანდიელში“ — მოსკოველმა ვ. ლეონტიევმა, „ფინის“ კლასში — ვლადივოსტოკელმა ვ. ზაკოვოროტნიმ, „სოლინგში“ — ტალინელმა ა. ჩუჩელოვმა, „ტორნადოში“ — გორკელმა დ. კირილოვიჩმა, „470“-ში — მოსკოველმა ვ. იგნატენკომ.

● მინსკი, 30 მაისი. ბელორუსიის დედაქალაქში სტარტი აიღო მრავალდღიანმა საკავშირო ველორბოლამ, რომელშიც გამოდის სპორტულ საზოგადოებათა 14 გუნდი. მონაწილეებმა უნდა გაიარონ 11 ეტაპი. აქედან 6 მოეწყობა ბელორუსიის გზებზე, დანარჩენები — ლიტვის ტერიტორიაზე. როგორც სსრ კავშირის ველომრბოლელთა ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. კაპიტონოვმა აღნიშნა, ეს შეჯიბრება იქნება საბჭოთა სპორტსმენთა გენერალური რეპეტიცია მსოფლიო ჩემპიონატის წინ, რომელიც აგვისტოს დამლევს კანადაში ჩატარდება.

## ჩვენი მოძმე რესპუბლიკებში

### დიდი აფროსნობის წელიწადი

ესტონეთში წლეულს აფროსნობის წელიწადია. ახლახან საქალაქო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარის ა. რეპას პრეს-კონფერენციაზე გამოცხადდა, რომ ტალინი ყველაზე უდავო პრეტენდენტია 1980 წლის აფროსანთა ოლიმპიური რეგატის მასპინძლობისა, თუ ოლიმპიური თამაშები საბჭოთა კავშირში ჩატარდება.

ტალინში აფროსანთა რბოლების ჩასატარებლად ძალიან მოხერხებულია ზღვის ყურე, რომელშიც მდინარე პირიტა ჩადის. შესართავში განლაგებულია აფროსანთა კლუბები, აგებულია მისადგომები სპორტული ნავებისთვის.

წლეულს აქ ჩატარდება ბევრი დიდი ასპარეზობა აფროსნობაში. ეს იქნება საბჭოთა სპორტსმენთა შესარჩევი შეჯიბრებები ბალტიის XXVI რეგატისთვის, რომელიც ივნისის დამლევს მოეწყობა. ივლისის ბოლო რიცხვებში ტალინის ყურეში დაგეგმილია აფროსანთა საკავშირო ჩემპიონატის გამართვა.

ტალინი.

### მთები ქალაქში

დნეპროპეტროვსკში დაიწყო მეკლდეურთა სარბიელის მშენებლობა. სიმაღლეების დამპყრობთა მომავალი შეჯიბრებებისთვის აირჩიეს ბუნებრივი კლდოვანი კედელი ტ. შევჩენკოს სახელობის პარკში. ამ უნიკალური ნაგებობის პროექტის ავტორები არიან ადგილობრივი მთამსვლელები: არქიტექტორები, ინჟინრები, სტუდენტები. მათი წინადადებით, კლდოვან მონაკვეთს დაუმატებენ გრანიტის ლოდებს. გათვალისწინებულია მოედნები მეკლდეურთა დასაზღვევად, ადგილები მაყურებლებისთვის, ღამის განათების კომპლექსი.

მშენებლებს საზოგადოებრივ საწყისებზე ეხმარებიან სპორტის ოსტატი, ინსტიტუტ „პროექტსტალკონსტრუქციის“ დირექტორი ს. ტიულენევი, „თოვლის ჯიქი“ — ინჟინერი ა. ზაიდლერი, სტუდენტები ნ. პავლოვა, გ. ბელიმენკო და სხვ.

ახალი სარბიელი დაამშვენებს დნეპრის ნაპირებს. მთამსვლელთა შეჯიბრებებს ახლა გაცილებით მეტი მაყურებელი ეყოლება და ეს ხელს შეუწყობს ამ სახეობის პოპულარიზაციას ახალგაზრდებს შორის.

ვ. ცურკანოვი.

დნეპროპეტროვსკი.

## ჩვენი მოძმე რესპუბლიკებში

### სპორტკლუბი „ოლიმპია“

ვოლგოგრადის საბჭოთა რაიონის 109-ე საშუალო სკოლა განთქმულია სპორტული ტრადიციებით. ამ სკოლის სპორტკლუბი „ოლიმპია“ აერთიანებს ნორჩ მძლეოსნებსა და მოჭადრაკეებს, ფრენბურთელებსა და კალათბურთელებს, ჰოკეისტებს, ფეხბურთელებს, ტანმოვარჯიშეებს. აქ ვარსკვლავები არ არიან. წარმატებას განაპირობებს მასობრიობა, ერთსულოვნება პედაგოგიური კოლექტივისა, რომელმაც სპორტს დიდი როლი დააკისრა საერთო სასწავლო პროგრამაში.

ამ სკოლაში მაღალი აკადემიური მოსწრებაა. ყოველი მესამე მოსწავლე თანრიგოსანი სპორტსმენია. მოსწავლეთა 65 პროცენტმა უკვე ჩააბარა მშდ კომპლექსის ნორმატივები. ასმა უფროსკლასელმა ოქროს სამკერდე ნიშანი მოიპოვა.

„ოლიმპია“ კარგ რეზერვს უმზადებს ოლქის ნაკრებ გუნდებს. ეს შემთხვევითი როდია. ამ სკოლის ნორჩ კალათბურთელებს ბოლო ათი წლის მანძილზე ქალაქის პირველობა არ დაუთმიათ. საპრიზო ადგილებზე არიან ტანმოვარჯიშეები და ფრენბურთელები.

სკოლის პიონერთა ოთახში თვალსაჩინო ადგილი უკავია კლუბის სპორტულ ნადავლს — მედლებს, დიპლომებს, საპატიო სიგელებს, თასებს. ამ ჯილდოების მოპოვებაში დიდი დამსახურება მიუძღვის ფიზკულტურის მასწავლებელს, სახალხო განათლების წარჩინებულს ალექსანდრე ბარტასინსკის. იგი სამი ათეული წელია მუშაობს და ამ ხნის მანძილზე ასობით თანრიგოსანი სპორტსმენი აღზარდა. მისი ოცი მოწაფე სსრ კავშირის სპორტის ოსტატი გახდა.

• • •

სურათებზე: ა. ბარტასინსკი მოსწავლეებს სპორტკლუბის ისტორიას აცნობს; კლუბის წევრებთან მეცადინეობას ატარებს № 2 ბავშვთა სპორტული სკოლის მწვრთნელი ლ. შეპოტკინა.

ბ. სუროვცევის ფოტო.






ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები

# ალექსანდრია — შული 5:2

რიგა, 30 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ ლატვიის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის დიდ დარბაზში გაიმართა ნ. ალექსანდრია (თბილისი) — მ. შულის (ლვოვი) მატჩის VII პარტია. თეთრებით თბილისელი ოსტატი თამაშობდა.

ალექსანდრიამ სიცილიური დაცვის საწინააღმდეგოდ ისეთი სისტემა აირჩია, რომ ხანგრძლივი პოზიციური ბრძოლა იყო მოსალოდნელი. მაგრამ მე-7 სვლაზე მან პაიკის შეწირვით გაამძაფრა თამაში.

შულმა გამოწვევა მიიღო და საგრძნობლად ჩამორჩა ფიგურების განვითარებაში. მისი მეფის ფრთა მთლიანად „გაიყინა". ალექსანდრიამ კიდევ ერთი პაიკის შეწირვით სავონებელში ჩააგდო მეტოქე. ამ პაიკის აყვანით შული დათმობდა ხაზებს ლაზიერის ფრთაზე და მთლად უმწეო აღმოჩნდებოდა. არც მის მიერ არჩეული გზა (გრძელი როქი) იყო გამართლებული: პოზიცია კვლავ მძიმე დარჩა.

ბრძოლის სიმძიმემ ლაზიერის ფრთაზე გადაინაცვლა. შულის მეფე იერიშის ქვეშ მოექცა. ლვოველმა მოჭადრაკემ შეძლო მეფის ფრთის ფიგურების თამაშში ჩაბმა, რამდენიმე ფიგურა გაცვალა კიდეც და დაცვაც გააძლიერა.

კრიტიკული პოზიცია შეიქმნა თეთრების 23-ე სვლის დროს. პრესცენტრში შეკრებილი მოჭადრაკეების აზრით (მათ შორის იყო დიდოსტატი მ. ტალი, რომელიც რიგაში წინადღით ჩამოვიდა), სწრაფად იგებდა 23. ე:d6. როგორც მერე გამოირკვა, ალექსანდრია ხედავდა ამ გაგრძელებას, მაგრამ მწვავე ვარიანტების გამოანგარიშებას უდავო მუქარების შანსის შენარჩუნება ამჯობინა. ერთი სვლის შემდეგ მან ბრძოლა კომბინაციით განაგრძო.

შეწირული მხედრის მიღება შულს არ შეეძლო, ვინაიდან აგებდა. ამიტომ იგი სავსებით სწორად მოიქცა, როცა ლაზიერი ორ ეტლში გაცვალა: უშუალო მუქარა აღარ იყო, მაგრამ შულს გაპარტახებული პოზიცია დარჩა: უბინაო მეფე, ეტლებს შორის დარღვეული ურთიერთობა. სწორედ ეს გამოიყენა ალექსანდრიამ გამარჯვების მისაღწევად.

ლაზიერისა და მხედრის შეთანხმებული მანევრებით ალექსანდრიამ შეუტია შულის მეფეს. შული ბევრს ეცადა, მაგრამ მეფე ვერ გადაარჩინა.

საერთო აზრით, ეს პარტია ერთ-ერთი საუკეთესოა მატჩში. ამ პარტიაში, როგორც სარკეში, ნათლად გამოჩნდა ალექსანდრიას შემოქმედებითი სახე და მებრძოლის სულისკვეთება.

მატჩის ანგარიში გახდა 5:2 ალექსანდრიას სასარგებლოდ. დარჩენილ სამ პარტიაში მას მხოლოდ ნახევარი ქულა ჰყოფნის, პრეტენდენტთა ფინალური მატჩის საგზურის მოპოვებისთვის. VIII პარტია 1 ივნისს გაიმართება.

გთავაზობთ VII პარტიას.

### ალექსანდრია — შული

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 d6 3. კb5+ კd4 4. კ:d7+ ლ:d7 5. 0—0 მc6 6. c3 მf6 7. d4 მ:e4 8. d5 მb8 9. ეe1 მf6 10. კg5 მa6 11. b4 0—0—0 12. bc მ:c5 13. c4 მფb8 14. მc3 h6 15. კe3 ეc8 16. ეb1 e5 17. ეb5 a6 18. ეb6 კe7 19. კ:c5 ე:c5 20. ლb3 კd8 21. ე:a6 კa5 22. ეb1 კ:c3 23. ლ:c3 მფc7 24. მ:e5 ლf5 25. ლb3 ლ:b1+ 26. ლ:b1 ba 27. მ:f7 ეb8 28. ლg6 ე:c4 29. h3 მe3 30. ლe6 მფb6 31. მe5 ეc1+ 32. მფh2 მფb5 33. ლd7+ მფb6 34. მc6 ეa8 35. მd8 ეac8 36. ლb7+ მფc5 37. მe6+. შული დანებდა.

**ნ. ჟურავლიოვი,**
**ჟურნალ „შახმატის" პასუხისმგებელი მდივანი, ალექსანდრია — შულის მატჩის პრესცენტრის ხელმძღვანელი.**

# კოზლოვსკაია — ლევიტინა 1,5:0,5

კისლოვოდსკი, 30 მაისი. გუშინ სანატორიუმ „როდინას" დარბაზში შედგა ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი) — ი. ლევიტინას (ლენინგრადი) მატჩის II პარტია.

ლენინგრადელმა მოჭადრაკემ, როგორც კი დებიუტი დამთავრდა, აგრესიულად ითამაშა და მძიმე პოზიციაში მოხვდა. კოზლოვსკაიამ ვერ გამოიყენა შექმნილი ვითარება და მეტოქეს პოზიცია გამოასწორებინა. მალე შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

კოზლოვსკაია ისევ ლიდერობს — 1,5:0,5.

მატჩის III პარტია შაბათს, 1 ივნისს გათამაშდება.

**ა**ჭარის მოსწავლეთა XXVI სპარტაკიადის ფინალური თამაშები ერთ კვირას მიმდინარეობდა ბათუმის სპორტულ ბაზებზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ქ. ბათუმის, ხელვაჩაურის, ქობულეთის, ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონების ნაკრები გუნდები (780 მოსწავლე), რომლებმაც იასპარეზეს კალათბურთში, ფრენბურთში, ხელბურთში, ფეხბურთში, მძლეოსნობასა და მშდ კომპლექსის მრავალჭიდში.

საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილი ბათუმის კოლექტივმა დაიკავა. II ადგილზე გავიდნენ ქობულეთის, III — ხელვაჩაურის, IV — ხულოს, V — შუახევის, VI — ქედის სპორტსმენები.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — ბათუმისა და ქობულეთის ფრენბურთელთა შეხვედრის მომენტი; მარჯვნივ — თამაშობენ ქობულეთისა და ხელვაჩაურის ხელბურთელები.

ა. ჩანტლაძის ფოტოები.





# დიდი მოგებები

ამ დღეებში განსაკუთრებით ხალხმრავლობაა „სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველოს დიდ მოგებათა განყოფილებაში. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან წინა ტირაჟში „ხუთოსანთა" ოჯახს 26 კაცი ერთად შეემატა.

წყალტუბოს მცხოვრებმა, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის III კურსის სტუდენტმა ა. დაუშვილმა „სპორტლოტოს" მე-9 ტირაჟში ხუთი ნომერი გამოიცნო და 2068 მანეთი მიიღო. ზუგდიდელ გ. ქვარიას 23 ბილეთი ჰქონდა, საიდანაც ორზე ხუთი სახეობა გამოიცნო, ოთხზე — სამ-სამი. სულ მისმა მოგებამ 4148 მანეთი შეადგინა. ფოთის მე-7 საშუალო სკოლის მოსწავლეს ს. არუსტოვს სპორტული ლატარიის მხოლოდ ერთი ბილეთი ჰქონდა და 2260 მანეთი მოიგო!

თბილისელმა დ. შათაშვილმა და მისმა ქალიშვილმა მარინემ მე-9 ტირაჟში 2068 მანეთი მოიგეს. მაგრამ შათაშვილის მეუღლემ ნ. კიკოზაშვილმა ქმარსაც აჯობა და შვილსაც — მე-7 ტირაჟში ხუთი სახეობა გამოიცნო და 2627 მანეთი მიიღო. ქუთაისელმა ს. ბაზაძემ მე-10 ტირაჟში ხუთი სახეობა გამოიცნო და 1622 მანეთი ხვდა. წარსულში სპორტსმენი, ფეხბურთელთა გუნდის წევრი ს. ბაზაძე ფიქრობს, რომ სპორტულ ლატარიაში მონაწილეობით თავისი წვლილი შეაქვს საბჭოთა სპორტის განვითარებაში. ახალდაქორწინებული ვ. და ნ. სიხარულიძეები წლევანდელი მე-12 ტირაჟიდან ჩაებნენ სპორტულ ლატარიაში და პირველივე ტირაჟში ხუთი სახეობა გამოიცნეს. მათ უკვე მიიღეს მაქსიმალური მოგება — 5000 მანეთი.

**ნ. ლონდაძე,**
**„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორი.**

## მორიგი ტირაჟები

30 მაისს მოსკოვში მოეწყო „სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი ტირაჟები. იღბლიანი გამოდგა შემდეგი ნომრები და სახეობები:

**„სპორტლოტო"** — 16 (ტანვარჯიში), 17 (მხატვრული ტანვარჯიში), 29 (საპარაშუტო სპორტი), 36 (სლალომი), 44 (ფიგურული ციგურაობა), 49 (შაში);

**„სპორტლოტო-2"** — 3 (აკრობატიკა), 6 (კალათბურთი), 15 (წყალბურთი), 37 (სროლა), 39 (სამბო), 45 (ფეხბურთი).

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

### პირველი ჯგუფი

● **„კოლხეთი" (ხობი) — „ივერია" (ხაშური) 2:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).**

ხობელი წურწუმიას მიერ მე-14 წუთზე გატანილი ბურთი ტაიმის დასასრულს გაქვითა გუნცაძემ. შემდგომში კოლხეთელები კვლავ უტევდნენ და გამარჯვებაც მათ დარჩათ. მეორე გოლი გაიტანა ჯოჯუამ.

● **„დინამო" (სოხუმი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 2:1. მსაჯი თ. ფანიაშვილი (თბილისი).**

ტაიმი დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით — 1:0 (გლინიანოვი). როგორც კი განახლდა თამაში, ბოხაშვილმა გაქვითა ეს გოლი, ხოლო 51-ე წუთზე დრაჩმა მეორედ აიღო ზესტაფონელთა კარი. „მეტალურგს" ცდა არ დაუკლია, რომ თავი დაეღწია წაგებისთვის, მაგრამ დინამოელებმა შეძლეს შეენარჩუნებინათ გამარჯვება.

● **ასკ (თბილისი) — „შუქურა" (ქობულეთი) 5:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).**

არმიელებს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ დასაწყისშიც და მერეც, თანაც ხშირად უშვებდნენ შეცდომებს „შუქურას" მცველები და მეკარე. ლომიძემ 3 ბურთი გაიტანა მეტოქის კარში, ხოლო დარჯანიამ — 2. ერთადერთი გოლის გაქვითვა შეძლო გორგილაძემ.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილებულია ქობულეთელი მ. მჟავანაძე.

● **„ქართლი" (გორის რაიონი) — „განთიადი" (თბილისი) 3:3. მსაჯი ი. კუსიდი (ბათუმი).**

მატჩის პირველივე წუთებზე გორელმა მარტინენკომ ზედიზედ 2 გოლი გაიტანა თბილისელთა კარში. მე-10 წუთზე მანუჩაროვმა გაქვითა 1 ბურთი, 4 წუთის შემდეგ კი გელდიაშვილმა მესამედ აიღო „განთიადის" კარი. ასე მწვავედ და მძაფრად დაიწყო ეს მატჩი, შემდეგ ბრძოლის სიმძაფრემ იკლო. გორელებმა საქმე მოთავებულად მიიჩნიეს და საშუალება მისცეს მეტოქეს თამაშის დასასრულისთვის ეხსნათ ქულა — 3:3 (ნემსაძე, იაგუბოვი).

● **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 2:2. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).**

● **„მაღაროელი" (ჭიათურა) — „კახეთი" (თელავი) 2:0. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).**

მიუხედავად იმისა, რომ ორივე კართან არაერთი სახიფათო მომენტი შეიქმნა, შესვენებამდე ანგარიში არ გახსნილა. შემდგომში მაღაროელებმა შეძლეს საერთო უპირატესობის ხელში აღება, ერთ-ერთი შეტევა გოლით დაამთავრა მერმანიშვილმა, მერე კი კაციტაძემ ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი დარტყმა.

● **„მეტალურგი" (რუსთავი) — „ეგრისი" (ცხაკაია) 1:0. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).**

მე-9 წუთზე „ეგრისის" კარში ბურთი გაიტანა კაჭახიძემ. ამ გოლმა „მეტალურგს" მოუტანა გამარჯვება და მასთან ერთად ერთპიროვნული ლიდერობაც.

● **„ვარძია" (ასპინძა) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 2:1. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).**

● **„ამირანი" (ოჩამჩირე) — „მეშახტე" (ტყიბული) 4:2. მსაჯი ე. ჩიფჩიაური (თბილისი).**

მასპინძლებმა დიდი უპირატესობით დაიწყეს თამაში, მე-6 წუთზე ტყიბულელთა მეკარემ შეცდომა დაუშვა და დელბამ ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში, შუა ტაიმში კი ამას მოჰყვა ეშუხბაიას მიერ გატანილი მეორე გოლიც. „მეშახტემ" შეძლო თამაშის გამოსწორება მეორე ტაიმში, მაგრამ შესვენებამდე გაშვებული 2 ბურთის ანაზღაურება ვეღარ მოახერხა. მასპინძლებმა გაიმარჯვეს.

● **„სულორი" (ვანი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 3:2. მსაჯი გ. პოლოსიანი (სოხუმი).**

მთელ რიგ წარუმატებლობათა შემდეგ ვანელმა ფეხბურთელებმა სრული მონდომებით, ენერგიულად ითამაშეს და დაამარცხეს გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი. გამარჯვებულთაგან 2 ბურთი გაიტანა სულაბერიძემ, 1 — ლორთქიფანიძემ, ხოლო სტუმართაგან — დარახველიძემ და ჯაფარიძემ.

ლოკომოტიველი ა. დარახველიძე გაფრთხილებულია მსაჯთან კამათისთვის, მისმა თანაკლუბელმა უ. ქანთარიამ კი ჯერ გაფრთხილება მიიღო, ხოლო შემდეგ მინდვრიდან გააძევეს.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 11 | 8 | 3 | 0 | 21—8 | 19 |
| ასკ (თბილისი) | 11 | 6 | 4 | 1 | 26—7 | 16 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 11 | 6 | 3 | 2 | 17—8 | 15 |
| „სალხინო" | 11 | 4 | 7 | 0 | 15—7 | 15 |
| „ლოკომოტ." | 11 | 6 | 3 | 2 | 20—13 | 15 |
| „მაღაროელი" | 10 | 6 | 1 | 3 | 15—6 | 13 |
| „კოლხეთი" | 10 | 4 | 4 | 2 | 13—10 | 12 |
| ფიზკ. ინსტ. | 11 | 4 | 4 | 3 | 18—15 | 12 |
| „ამირანი" | 11 | 5 | 2 | 4 | 13—11 | 12 |
| „კახეთი" | 11 | 5 | 2 | 4 | 17—18 | 12 |
| „დინამო" | 11 | 3 | 5 | 3 | 15—10 | 11 |
| „შუქურა" | 11 | 3 | 4 | 4 | 8—10 | 10 |
| „ეგრისი" | 11 | 3 | 4 | 4 | 7—9 | 10 |
| „განთიადი" | 11 | 2 | 4 | 5 | 15—16 | 8 |
| „ქართლი" | 11 | 3 | 2 | 6 | 17—22 | 8 |
| „მეშახტე" | 11 | 3 | 2 | 6 | 13—19 | 8 |
| „ვარძია" | 11 | 3 | 1 | 7 | 11—23 | 7 |
| „სულორი" | 11 | 2 | 2 | 7 | 8—31 | 6 |
| „სპარტაკი" | 11 | 1 | 3 | 7 | 10—21 | 5 |
| „ივერია" | 11 | 2 | 0 | 9 | 12—27 | 4 |

### მეორე ჯგუფი

**I ზონა**

„განახლება" (ადიგენი) — „ალაზანი" (გურჯაანი) 0:1, „დურუჯი" (ყვარელი) — „მადნეული" (ბოლნისი) 6:0, „კოლმეურნე" (ბორჯომი) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 2:1, „რუბეროიდი" (გარდაბანი) — „განთიადი" (კასპი) 1:1, „ყინწვისი" (ქარელი) — „არაგვი" (დუშეთი) 8:1.

ახალციხის „მესხეთს" მოგება ჩაეთვალა სიღნაღის „ციხკართან".

**II ზონა**

ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) — „იმერეთი" (თერჯოლა) 2:1, „ჩიხურა" (საჩხერე) — „გიგანტი" (ლაითური) 1:2, „მზიური" (გალი) — „სამგურალი" (წყალტუბო) 2:2, „ბახმარო" (ჩოხატაური) — „კოლმეურნე" (გულრიფში) 4:1, „კოლმეურნე" (წულუკიძე) — „სქური" (წალენჯიხა) 0:0.

### გათამაშების ცხრილები

**I ზონა**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დურუჯი" (ყვარელი) | 7 | 6 | 1 | 0 | 21—3 | 13 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 6 | 4 | 2 | 0 | 17—7 | 10 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 7 | 4 | 0 | 3 | 13—11 | 8 |
| „ჰერეთი" (ლაგოდეხი) | 7 | 2 | 3 | 2 | 15—12 | 7 |
| „განახლება" (ადიგენი) | 7 | 2 | 3 | 2 | 8—9 | 7 |
| „კოლმეურნე" (ბორჯომი) | 6 | 3 | 0 | 3 | 12—9 | 6 |
| „ყინწვისი" (ქარელი) | 6 | 2 | 2 | 2 | 12—10 | 6 |
| „მადნეული" (ბოლნისი) | 6 | 2 | 2 | 2 | 9—11 | 6 |
| „განთიადი" (კასპი) | 7 | 2 | 2 | 3 | 9—13 | 6 |
| „არაგვი" (დუშეთი) | 7 | 2 | 1 | 4 | 7—14 | 5 |
| „ციხკარი" (სიღნაღი) | 6 | 1 | 2 | 3 | 5—13 | 4 |
| „რუბეროიდი" (გარდაბანი) | 6 | 1 | 2 | 3 | 6—15 | 4 |
| „სამცხე" (აწყური) | 6 | 0 | 2 | 4 | 10—17 | 2 |

**II ზონა**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „იმერეთი" (თერჯოლა) | 6 | 3 | 2 | 1 | 12—6 | 8 |
| „გიგანტი" (ლაითური) | 6 | 2 | 4 | 0 | 7—2 | 8 |
| „კოლმეურნე" (წულუკიძე) | 5 | 2 | 3 | 0 | 6—1 | 7 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 6 | 1 | 5 | 0 | 12—9 | 7 |
| „სქური" (წალენჯიხა) | 6 | 1 | 4 | 1 | 9—6 | 6 |
| „კოლმეურნე" (გულრიფში) | 6 | 2 | 2 | 2 | 9—9 | 6 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 5 | 1 | 3 | 1 | 8—8 | 5 |
| „მზიური" (გალი) | 5 | 0 | 5 | 0 | 6—6 | 5 |
| ხის დამმუშ. კომბ. (სამტრედია) | 5 | 1 | 2 | 2 | 7—10 | 4 |
| „განთიადი" (აბაშა) | 5 | 1 | 1 | 3 | 1—9 | 3 |
| „ჩიხურა" (საჩხერე) | 5 | 0 | 1 | 4 | 3—12 | 1 |

XXXVI ჩემპიონატი

## დუბლიორების ტურნირი

30 მაისს მოსკოვის „სპარტაკისა" და ლენინგრადის „ზენიტის" მატჩით დაიწყო სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის VIII ტური.

ანგარიში გახსნა სპარტაკელმა მინაევმა, ხოლო საპასუხო გოლი გაიტანა კაზაჩონოკმა — 1:1.

## გუშინ...

# 1:1

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა მორიგი მატჩი თბილისის „დინამოსა" და ტაშკენტის „ფახთაქორის" გუნდებს შორის. შეხვედრის შედეგია ფრე — 1:1.

## უმაღლესი ლიგა

# გამარჯვება აუტსაიდერთან

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 30 მაისი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 2:0 (0:0).

„ტორპედო": გაბელია, აბზიანიძე, ქუთათელაძე (კოსტავა), ბერულავა (ფიფია), ქობონელიძე, ოქროპირაშვილი, ქვირია, შელია, ფესტვენიძე, ხერხაძე, გაბიჩვაძე (ბურკაძე).

„მეტალურგი": სემიკოპენკო, ტომახი, დენეჟი, კარპოვი, სიროვი, უშაკოვი, ა. ანოშინი, ისტომინი, ეგოროვიჩი (ვ. ანოშინი), კუტინი, პეტროვი.

მსაჯი ვ. გლადილინი (გროზნო).

დუბლიორები — 2:3.

ტორპედოელთა მეტოქე — ზაპოროჟიეს „მეტალურგი" გათამაშების აუტსაიდერია. ეს გარემოება თითქოს წინასწარ განსაზღვრავდა, რომ მასპინძლებს საკუთარ მინდორზე 2 ქულა გარანტირებული ჰქონდათ ზუსტ მეტოქესთან. მაგრამ ცნობილია, რომ აუტსაიდერები ხშირად ყველაზე მეტი თავგამოდებით იბრძვიან მდგომარეობის გამოსასწორებლად. მეტალურგებმა სწორედ ამ მატჩში ხცადეს საკუთარი მოკრძალებული მარაგისთვის თუნდაც 1 ქულა მიემატებინათ და თავიდანვე მთელი შესაძლებლობით იბრძოლეს. თუ არ ჩავთვლით იმ ორიოდე მომენტს, როცა გაბიჩვაძისა და ხერხაძის დარტყმული ბურთები ოდნავ ასცდა მიზანს, თამაში თანაბარი იყო და უმთავრესად მინდვრის შუაგულში მიმდინარეობდა.

შესვენების შემდეგ ქუთაისელებმა მკვეთრად მოუმატეს ტემპს და ეს მაშინვე დაეტყო თამაშის მსვლელობას. მართალია, 53-ე წუთზე „ტორპედო" იღბლად გადაურჩა გოლს სტუმრების სწრაფი კონტრშეტევის შემდეგ, მაგრამ ბრძოლის საერთო სურათი ნათელი გახდა: იგი მასპინძელთა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა.

და მაინც, შედეგის მიღწევას საკმაო დრო დასჭირდა. 78-ე წუთზე ფესტვენიძემ შორეული რეიდის შემდეგ ძლიერად დაარტყა. ბურთი მოხვდა ძელს, დაუბრუნდა მინდორს, აქ კი ყველას დაასწრო ბურკაძემ და გახსნა ანგარიში — 1:0.

შეხვედრა უკვე დასასრულს უახლოვდებოდა და თითქოს ქუთაისელები ამ ერთ გოლს უნდა დასჯერებოდნენ, როცა ფესტვენიძემ კვლავ შეასრულა ინდივიდუალური გარღვევა და ამჯერად ზუსტად დაარტყა — 2:0.

შ. ნიჟარაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## სხვა მატჩები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „დინამო" (მინსკი) 1:0, ასკ (დონის როსტოვი) — „ზვეზდა" (პერმი) 0:1, „კუბანი" (კრასნოდარი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 0:0, „სპარტაკი" (ნალჩიკი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 3:0, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „კუზბასი" (კემეროვო) 3:1, „ნეფთჩი" (ბაქო) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 0:1, „პამირი" (დუშანბე) — „ტავრია" (სიმფეროპოლი) 2:1, „სტროიტელი" (აშხაბადი) — „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) 2:2.

## I ლიგა

## II ლიგა III ზონა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (ვოლოგდა) | 10 | 7 | 2 | 1 | 14—4 | 16 |
| „ისკრა" (სმოლენსკი) | 10 | 6 | 2 | 2 | 15—7 | 14 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 9 | 6 | 1 | 2 | 16—6 | 13 |
| „ტორპედო" (ვლადიმირი) | 10 | 6 | 1 | 3 | 13—6 | 13 |
| „ხიმიკი" (ძერჟინსკი) | 10 | 5 | 3 | 2 | 13—7 | 13 |
| „დინამო" (ბათუმი) | 9 | 4 | 4 | 1 | 9—4 | 12 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 10 | 3 | 5 | 2 | 10—8 | 11 |
| „ურალანი" (ელისტა) | 10 | 4 | 3 | 3 | 8—7 | 11 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 10 | 3 | 3 | 4 | 10—9 | 9 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 10 | 2 | 5 | 3 | 10—10 | 9 |
| „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) | 10 | 4 | 1 | 5 | 8—11 | 9 |
| „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) | 9 | 4 | 0 | 5 | 12—13 | 8 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 10 | 3 | 2 | 5 | 4—10 | 8 |
| „დინამო" (ზუგდიდი) | 10 | 3 | 1 | 6 | 6—9 | 7 |
| „დილა" (გორი) | 9 | 2 | 3 | 4 | 8—13 | 7 |
| „ლორი" (კიროვაკანი) | 9 | 2 | 3 | 4 | 5—10 | 7 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 9 | 2 | 3 | 4 | 4—9 | 7 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 9 | 2 | 3 | 4 | 7—14 | 7 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 8 | 2 | 2 | 4 | 10—11 | 6 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 9 | 1 | 1 | 7 | 3—17 | 3 |

# სტუმრად პოლონეთში

დღეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში მიემგზავრება საქართველოს მოსწავლე ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. იგი მონაწილეობას მიიღებს ლოძის საერთაშორისო ტურნირში. დელეგაციის ხელმძღვანელია სპორტის დამსახურებული ოსტატი ბ. პაიჭაძე.

საქართველოს ნორჩმა ფეხბურთელებმა 30 მაისს თბილისში ამხანაგური საწვრთნელი მატჩი ჩაატარეს უზბეკეთის თანატოლებთან და ფრედ დაამთავრეს იგი — 0:0.

მათი არდავიწყებისა იყოს...

# ქართული ფეხბურთის პატრიარქი

ზაფხულს ყვითელი ცელი გადაუტარებია მწვანე სავარჯიშო მინდორზე. ცხელა, კაცი სულს ძლივს მოითქვამს. მოთამაშეები უხალისოდ დასდევენ ბურთს. ითლი არ არის სირბილი თაკარა, სამხრეთულ მზეში. მზისა და ჩრდილის საზღვარი ზაფხულობით უფრო მკვეთრია. ჩრდილში, ახოვანი ხეების ძირში, დგას ტანმორჩილი, მკვრივი აღნაგობის კაცი. სიმსუქნისა და მოუხეშაობის მიუხედავად, მის გარეგნობაში ყველაფერი სიმეტრიულია. ასეთ კაცზე ამბობენ, მუშტივით შეკრულიაო. ზოგჯერ ადამიანის გარეგნობაში იპოვი პიროვნების სულის ანარეკლს. ამ კაცს აქვს ნაკვთები, რომლებიც უდავოდ მოწმობს მის სულიერ სიძლიერეს, უდრეკ ხასიათს, თუ გნებავთ, დაუმორჩილებლობასა და ქედმოუხრელობას. ეს არის პირველი შთაბეჭდილება. დეტალები ამ კაცის ცხოვრებისა არ ვიცი, თუმცა, საქართველოში არავინ მეგულება, მისი სახელი რომ არ სმენოდეს.

შუბლზე ხეითქი გადასდის ჩრდილში, ახოვანი ხეების ჩრდილში. ზოგჯერ ძალუმად გადმოტყორცნილი ბურთი ხეების წვეროებს ხვდება და მას თავზე ეყრება ფოთლების ფერფლი. ასე დგას უძრავად უკვე კარგა ხანია. მაგრამ თუ ძალიან ახლოს მიხვალთ და საოცრად მეტყველ, შუქიან თვალებში ჩახედავთ, რაც ერთგვარ კონტრასტს ქმნის მის არალირიკულ გარეგნობასთან, შენიშნავთ ცრემლებს. ეს ცრემლები თვალის გუგებს არ სცილდება და მათში მზის ათინათი ილევებს ხოლმე.

მას არავინ ელაპარაკება, არავინ ამჩნევს. თითო-ოროლა გულშემატკივარი ტრიბუნაზე ჩამომჯდარა და გაფაციცებით შეჰყურებს თავის კერპებს. ვერავინ ამჩნევს... თუმცა სულ ტყუილად. ამ საზაფხულო ვარჯიშზე ყველაზე საინტერესო სწორედ ეს კაცი გახლავთ, რკინის ბადის მიღმა რომ დამდგარა. ვერავინ ამჩნევს მის ცრემლებს, თუმცა კაცის გამომეტყველება ისეთი პირქუშია, თითქოს ამბობდეს: „ნურავინ მომეკარებით, მე ფეხბურთს ვუყურებ".

როცა ფეხბურთელები დაღლილ ბურთს კუთხეში მიაგდებენ, კაცი დინჯი ნაბიჯით ტოვებს პოსტს. არავინ იცის, რად დაინტერესდა რიგითი ვარჯიშით ან რად დგას რკინის ბადის მიღმა. ის უყურებს ვარჯიშს იმისთვის, რომ ხვალ კალენდარულ მატჩზე არ წავიდეს. მას აქვს მოწმობა, რომლითაც ყველაზე მკაცრი დარაჯიც კი შეუშვებს მატჩზე. ის კი არ დადის თამაშზე. არავინ იცის, რატომ.

ეს კაცი ანდრო ჟორდანიაა, ხოლო ამბავი შარშან ზაფხულში მოხდა. მას არ ვიცნობ, არ ვიცნობ, მაგრამ მაინტერესებს არა ფეხბურთის სახელგანთქმული პატრიარქი, არამედ ბადესთან მდგარი ბერიკაცი. მე მაინტერესებს, რად უბრწყინავს თვალებში ცრემლი, რატომ დადის ვარჯიშზე და არა სტადიონზე.

მასთან სტუმრად მისვლა სახუმარო საქმე არ არის. უნდა მოიკრიბო მთელი მოთმინება, მოსალოდნელ უარის თქმას წინასწარ უნდა შეეგუო. არა ერთი და ორი გამოუბრუნებია პირში ჩალაგამოვლებული. მისი ბინა ჰგავს თავისებურ ციხესიმაგრეს, რომელსაც ბევრისთვის ურდული ადევს. ვერ გავბედე მარტო მისვლა და მისი სიჭაბუკის მეგობარს ვლადიმერ მდივანს ვთხოვე ანდრო ჟორდანიასთან წამოჰყოლოდა.

დღეს კარგ გუნებაზეა. ეგ კი არა, ლამის ვიფიქრე, ცდებიან ისინი, ვისაც ეს კაცი პირქუშ ადამიანად მიაჩნია-მეთქი. თავისთვის ღიღინებს და ეს ცოტა სასაცილოცაა, მაგრამ რაღაც ინტიმურად გამოუდის. ყოველი მეორე ფრაზის შემდეგ იმეორებს: „დიავოლ". ამ ჟარგონს იგი სულ სხვადასხვა შინაარსს ანიჭებს, უფრო „მე კაცოს" მნიშვნელობით იყენებს.

თვალები მოწკურული აქვს. იგრძნობა დიდი ენერგია, სიყვარული თვით უმნიშვნელო ნივთებისადმიც კი. ეფერება სკამის საზურგეს, მოუსვენრად აწვალებს სათვალეს.

მაინტერესებს, რატომ დგას რკინის ბადის მიღმა, რატომ არ დადის სტადიონზე. ეღიმება: „სტადიონზე არ დავდივარ უფრო იმიტომ, რომ თამაშის ყურებას არ მაცლიან, ჩემგან უნდათ გაიგონ, რომელ წუთზე გაიტანს ჩვენი გუნდი გოლს. მე ნათელმხილველი არა ვარ, მე ვარ მხოლოდ ფეხბურთელთა მწვრთნელი და ისიც ჯადამდგარი. ფეხბურთის დღეებში ჩემი მეგობარია ტელევიზორი, ის არაფერს მეკითხება".

ვგრძნობ, სერიოზულ საუბარს თავს არიდებს. თან მაკვირდება. არაფერს კი არ მეკითხება. სპორტთან რა კავშირი გაქვთო, ამბობს. სიტყვა ფარიკაობაზე ჩამოვარდა. მოკრძალებით ვაძლევ პასუხს კითხვებზე, თუმცა მირჩევნია ფეხბურთზე ვილაპარაკოთ. ამას მალე მამჩნევს.

— ბატონო ანდრო, თქვენზე ამბობენ, რომ ყველაზე უკეთესი მწვრთნელი იყავით „დინამოსთვის".

შუბლი შეიჭმუხნა.

— რაც შემეძლო, ვაკეთებდი.

და უცებ, თითქოს რაღაც გაახსენდაო, წამოდგა და სარკმლის იქით გაიხედა. იქ პატარა ბავშვი თამაშობს.

— სათამაშო ტელეფონი ვუყიდე ამ ონავარს. დღე და ღამე რეკავს. კაცმა არ იცის, ვის ელაპარაკება ამდენს.

მერე მობრუნდა. ვგრძნობ, მზადაა ყველანაირ შეკითხვაზე გამცეს პასუხი. ბლოკნოტს ჯიბეში ვიდებ. ეს მოეწონა.

— როგორ დაუკავშირდით ფეხბურთს, ბატონო ანდრო? — ვეკითხები და თან თვალს ვადევნებ: კაცს შეკითხვები ეჯავრება და უნებურად ათასჯერ გაგონილ-გადამღერებული შეკითხვა არ მივეცი?!

— როგორ იწყებენ ფეხბურთის თამაშს... მქონდა ბურთი, სხვებს არ ჰქონდათ. დიდუბეში იყო ეს ამბავი. მაშინ ბევრი მოედანი იყო დიდუბეში. მიმაქვს ბურთი და ბიჭებს ვეუბნები, ბურთის პატრონი მე ვარ და თუ მათამაშებთ, თქვენ გენაცვალეთ, თუ არა და... რა თქმა უნდა, დამთანხმდნენ. მერე ბურთსა და მოედანს აღარ მოვშორებივარ.

უცებ ხელი აიქნია, თითქოს რაღაც მოიშორაო.

— არაფერი დიდი ფეხბურთელი არ ვყოფილვარ. ამაზე ლაპარაკი დავამთავროთ.

ვლადიმერ მდივანი აღელდა, არ ეთანხმება, ედავება. თვითონ მას კი რაღაც ეშმაკურად ეღიმება.

— „დიავოლ", ფეხბურთელობაზე რა გითხრათ. აი, მწვრთნელიო, რომ თქვათ...

მეც მეტი რა მინდა, მოვხსენი შეკითხვების გუდას თავი.

— უებარი სელექციონერი ბრძანდებით, ბატონო ანდრო...

— რაც მართალია, მართალია, ინტუიციას არ ვემდური. ეტყობა, ეს თვისება ადამიანისთვის თანდაყოლილია. მაგრამ ზოგჯერ ინტუიცია სულ არ გჭირდება, როცა ხალხი თავისით მოდის გუნდში. ეჰ, რა იყვნენ ოცდაჩვიდმეტში დაბადებული ბიჭები. მესხი, იამანიძე, ჩოხელი, ბარქაია, სერგო კოტრიკაძე... მაგარი ბიჭები იყვნენ.

და უცებ ისევ ილევა მის თვალებში ცრემლმა. ახლა ჩვენს წინ იჯდა რკინის ბადის უკან მდგარი კაცი. იამანიძე, ეჰ, რა ბიჭი იყო, ყველაფერი შეეძლო, „დიავოლ", მთელი გუნდი იყო.

ვატყობ, ლაპარაკის საღერღელი აეშალა, ბორგავს ენებურად გამოწვეული მოგონებებით კაცი. ვლადიმერ მდივანი თვალით მანიშნებს, ნუღარ შეაწყვეტინებ საუბარსო.

— ჰო, ოცდაჩვიდმეტიანებზე ვლაპარაკობდი. აი, მოვიდა ჩოხელი. მაღალია, „დიავოლ", თამაში იცის. დავაყენეთ ვარჯიშზე. კარგი მცველია, „დინამოში" ითამაშებს. მაგრამ თამაშის დროს სულ აქეთ-იქით იხედება, ყველაფრისა ეშინია. სიფრთხილე კარგია, მაგრამ ზედმეტი მოსდის... მაგრამ ვგრძნობდი, ფეხბურთს ითამაშებდა და ითამაშა კიდეც. სულ სხვანაირი იყო ბარქაია. ეშმაკი, „დიავოლ", ძალიან ეშმაკი. რას ფიქრობს, კაცი ვერ გაიგებს. რასაც აკეთებს, კარგად აკეთებს, ვამჩნევ, ზედმეტი დარიგებით ბიჭი შეიძლება გაფუჭდეს. აკეთოს, რაც უნდა... მაგანაც კარგად ითამაშა, ერთადერთი კაცი იყო, ვისაც შენიშვნას არ ვაძლევდი.

მესხი, მესხი. ჰო, მესხზე ლაპარაკი საჭირო არ არის. ის მესხია და ამით ყველაფერია ნათქვამი. ადრე წავიდა ფეხბურთიდან, „დიავოლ", ძალიან ადრე. ასეთი ტალანტები ყოველდღე არ მოდიან.

ზეინკალა... არასერიოზული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მინდვრის გარეთ ბევრი რამ არ მესმოდა მისი. მღეროდა, უსტვენდა, ანეკდოტებს ყვებოდა. მაგრამ მინდორზე სხვა იყო. სხვა იყო თამაშში, ჩვენი ზეინკალა, „დიავოლ", კლდე იყო, არაფერი ენანებოდა გუნდისთვის.

მერე სხვები მოვიდნენ.

ხურცილავა ბანძიდან წამოვიყვანე. მითხრეს მაგაზე, ვნახე და წამოვიყვანე. დიდი ტალანტია, „დიავოლ", დიდი. როგორ გამიმართლა!

საუბარი შეუმჩნევლად გადავიდა დღევანდელ „დინამოზე".

— ეჰ, გულია საჭირო, „დიავოლ", უგულოდ ფეხბურთი არ არსებობს. გულიანი თამაში სჭირდება „დინამოს", სხვანაირი გუნდია და სხვანაირი მოპყრობა სჭირდება. თორემ რას ჰგავს, ერთხელ კარგად ითამაშებენ, მეორედ ცუდად... ან ეს ტრავმები რა გახდა, ვინ გაიგონა ერთ გუნდში ამდენი ტრავმირებული ფეხბურთელი. ერთს სხვა ვარჯიში სჭირდება, მეორეს — სხვა. ფეხბურთელი ჩიტივით უნდა იყოს, არ უნდა გადალალო, თითოეულს ინდივიდუალური ვარჯიში უნდა.

ეჰ, გული, გული, რამდენს ნიშნავს ფეხბურთში. აი, ჩვენი ბასა, ანთებული გული იყო ეს დალოცვილი. გულიანად თამაშობდა, გულიანად იცინოდა, გულიანად მეგობრობდა.

ის მიჩუმდა. ოთახში შემოდიოდა საღამო და შემოჰქონდა სიმშვიდისა და სიმსუბუქის განცდა.

შევყურებდი ბერიკაცს, რომელიც ფიქრობდა ქართულ ფეხბურთზე, ოცდაჩვიდმეტ წელში დაბადებულ ბიჭებზე, ხურცილავაზე, ბევრზე და ბევრზე... ვუყურებდი ბერიკაცს, რომლის თვალებშიც ბასას ხსენებაზე ისევ ილევა ცრემლმა. და მე გავიფიქრე, რომ ამ ადამიანს თვითონ აქვს დიდი გული, რომელიც ადამიანებისადმი, ცხოვრებისადმი, ფეხბურთისადმი განუზომელ სიყვარულს იტევს. და როცა ვლადიმერ მდივანთან ერთად ვტოვებდი ქართული ფეხბურთის პატრიარქის ბინას, გავიფიქრე, სულაც არ არის ეს კაცი ისეთი პირქუში, როგორიც შორიდან ჰგონიათ ადამიანებს-მეთქი.

ა. გოგელია.

P. S. ეს წერილი ამ რამდენიმე ხნის წინათ დაიწერა. მართალი გითხრათ, მაშინ ვერ გავბედე სტატიის გამოქვეყნება, ვფიქრობდი, ასეთ გამოჩენილ მწვრთნელთან ერთი შეხვედრით მიღებული შთაბეჭდილება სრულყოფილი არ იქნება-მეთქი. გადაწყვეტილი მქონდა კიდევ შევხვედროდი ქართული ფეხბურთის პატრიარქს, მაგრამ, სამწუხაროდ, ველარ მოვახერხე.

ახლა კი ეს დიდებული ადამიანი სამუდამოდ წავიდა ჩვენგან. ამიტომ, რაღა თქმა უნდა, მასთან შეხვედრისგან მიღებულ შთაბეჭდილებას ველარაფრით გავამდიდრებდი. ზოგიერთი დეტალი ამ საუბრიდან განზრახ გამოვტოვე, მაგრამ ჩემით კი არაფერი დამიმატებია.

ა. გ.

# „სიჭაბუკის" თასზე

დაიწყო ნორჩ ფეხბურთელთა რესპუბლიკური ტურნირი „სიჭაბუკის თასზე". ასპარეზობა მიმდინარეობს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ დაწესებული თასის მოსაპოვებლად.

პირველი შეხვედრები ასეთი შედეგებით დამთავრდა: „მეტალურგი" (რუსთავი) — „დინამო" (თბილისი) 1:2, ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „სპორტინტერნატი" (თბილისი) 6:5 (პენალტებით. ძირითადი დრო — 1:1), „ავაზა" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 5:0, „ტორპედო" (ქუთაისი) — სპორტსკოლა (ქუთაისი) 2:0, „მერცხალი" (მახარაძე) — „დინამო" (ბათუმი) 5:6 (პენალტებით. ძირითადი დრო — 0:0).

ცხინვალის სპორტსკოლის გუნდს მოუწევა ჩაეთვალა გორის „დილასთან", ხოლო ზუგდიდის „დიხაიოს" — ფოთის „კოლხეთთან".

# კრაშენინიკოვა — აბსოლუტური ჩემპიონი

მინსკი, 31 მაისი. ტყვიის ტანვარჯიშში სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა სტავროპოლელმა სტუდენტმა, 19 წლის ნ. კრაშენინიკოვამ — 47,6 ქულა. მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი, სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი, ომსკელი გ. შუგუროვა გამარჯვებულს 0,3 ქულით ჩამორჩა. III ადგილი დაიკავა კიეველმა მოსწავლემ, 16 წლის ი. დერიუგინამ — 46,85.

გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა რსფსრ-ს პირველმა ნაკრებმა — 232,9, II ადგილი დაიკავა უკრაინის კოლექტივმა (227,7), III — ბელორუსიის გუნდმა (224,55).

# WM 74

## ფინალისტთა მატჩები

ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელები ევროპას ეწვივნენ და პირველი ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართეს გფრ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთი პროვინციების ნაკრებთან. საინტერესო შეხვედრა მოიგეს სტუმრებმა — 3:2. ორი ბურთი გაიტანა რიველინომ, ერთი — ვალდემირომ. კაუზერსლაუტერნში გამართულ თამაშს 40 ათასი მაყურებელი დაესწრო.

ჰოლანდიის ეროვნული გუნდი ამსტერდამში ეთამაშა არგენტინის ნაკრებს და დაამარცხა იგი — 4:1. ანგარიში 30-ე წუთზე გახსნა ნეესკენსმა 11-მეტრიანი საჯარიმოთი. ერთი წუთის შემდეგ რენსენბრინგმა მეორე ბურთი გაიტანა. ამას მოჰყვა არგენტინელი ვოლფის საპასუხო გოლი. მეორე ტაიმში შტრიკმა და კაანმა კიდევ ორჯერ აიღეს სტუმრების კარი.

ბულგარეთის ნაკრები თავისი ქვეყნის დედაქალაქში შეხვდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდს. თამაში დიდი ანგარიშით მოიგეს მასპინძლებმა — 6:1. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ბონევმა (3), მიხაილოვმა, პანოვმა და ბორისოვმა, სტუმართაგან — კიმ სენ მინმა.

ზაირის ნაკრებმა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატისთვის ევროპაში ემზადება, იტალიაში ორი მატჩი ჩაატარა და ორივე წააგო: „ფიორენტინასთან“ — 1:0, „რომასთან“ — 0:3.

პოლონეთის ეროვნული გუნდი ხოჟუვში შეხვდა უნგრეთის უმაღლესი ლიგის ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ ნაკრებს. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს პოლონელებმა. ეს ერთადერთი ბურთი 33-ე წუთზე გაიტანა მუსიალმა.

გდრ-ის ნაკრებმა ლაიპციგში ფრედ — 1:1 (0:0) ითამაშა ინგლისის ეროვნულ გუნდთან. ანგარიში გახსნეს მასპინძლებმა 66-ე წუთზე (შტრაიხი). ერთი წუთის შემდეგ საპასუხო გოლი გაიტანა ჩენონმა.

ტერი ბაშელი

# გდრ — ახალი საფეხბურთო ძალა

ფეხბურთი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სიცარიელიდან წარმოიშვა. ამიტომ განვითარებისთვის მას დროც ბევრი დასჭირდა და თავდადებული შრომაც. გდრ-ის კლუბები მუდამ მონაწილეობდნენ ევროპის მასშტაბის შეჯიბრებებში, მაგრამ ამ ოთხი წლის წინათ ნატო-ს ქვეყნებმა მათ დასავლეთ ევროპაში ვიზიტი ჩაუშალეს.

საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობით მიღებული სარგებლობა ახლა თანდათან იჩენს თავს: ეროვნულმა ნაკრებმა პირველად მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის საგზური. ამას წინათ „მაგდებურგმა“ გდრ-ის კლუბებიდან პირველმა გაიმარჯვა ევროპის ერთ-ერთ ყველაზე მთავარ შეჯიბრებაში (თასების მფლობელთა თასის გათამაშება); ლაიპციგის „ლოკომოტივმა“ უეფა-ს თასის გათამაშების მეოთხედფინალს მიაღწია, ხოლო ქვეყნის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის (23 წლის ასაკამდე ფეხბურთელებისთვის) ფინალის პირველი მატჩი მოუგო უნგრელებს.

გდრ-ის ფეხბურთის განვითარებაში მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია 1965 წელს ქვეყნის ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელად კაროლი შოოშის დანიშვნა. ახალმა მწვრთნელმა მნიშვნელოვნად შეცვალა გუნდის მეცადინეობის გეგმა და ამის ნაყოფი უკვე აშკარად გამოჩნდა.

გდრ-ში გატარებული სამი ნაყოფიერი წლის შემდეგ შოოში უნგრეთში დაბრუნდა. მისმა მემკვიდრემ ჰარალდ ზეეგერმა უნგრელი სპეციალისტის მიერ დაწყებული გზა ვერ გააგრძელა და იგი იენის „კარლ ცაისის“ მწვრთნელმა გეორგ ბუშნერმა შეცვალა.

ზოგიერთი კრიტიკოსი ბუშნერს „კარლ ცაისის“ ფეხბურთელებისადმი მიკერძოებას სწამებს. მართლაც, მის გუნდში, თუ მეტი არა, შვიდი „კარლ ცაისის“ მოთამაშე მაინც გამოდიოდა.

მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ „ცაისი“ თითქმის სისტემატურად გამოდიოდა ევროპის შეჯიბრებებში და მისმა ფეხბურთელებმა მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინეს.

ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელმა ამას წინათ „მაგდებურგის“, ლაიპციგის „ლოკომოტივისა“ და დრეზდენის „დინამოს“ ბევრი ფეხბურთელი მიიწვია. ასე რომ, ვფიქრობ, მისი პოლიტიკა მიკერძოებული კი არა, ჭკვიანურია.

საყურადღებოა ისიც, რომ ყველაზე გამოცდილი მეკარე იურგენ კროი „პატარა“ გუნდში — ცვიკაუს „ზაქსენრინგში“ თამაშობს, ხოლო ყველაზე პერსპექტიული თავდამსხმელი, ახალგაზრდა იოაკიმ შტრაიხი — არცთუ პოპულარულ და ცნობილ როსტოკის „ჰანზაში“.

ბუშნერს შტრაიხის დიდი იმედი აქვს და ეს სავსებით გამართლებულია, რადგან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში ამ ფეხბურთელმა შვიდი გოლი გაიტანა.

ბუშნერის მიერ შეკრებილმა გუნდმა თავის პირველ მატჩში მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა რუმინეთის ნაკრებთან, მაგრამ ამ შეხვედრაში დაშავდა ჰანს-იურგენ კრაიშე.

კრაიშე გდრ-ის გამოჩენილი მოთამაშეა. იგი ჯერ 26 წლისაა, მაგრამ ბოლო სამი წლის მანძილზე ობერ-ლიგის პირველი ბომბარდირი იყო, ხოლო ახლახან საერთაშორისო შეხვედრების რეკორდიც დაამყარა, როცა მეტოქის კარში 24-ე გოლი გაიტანა.

თავიდან კრაიშემ ჩვეულებრივ ნახევარმცველად დაიწყო თამაში, მაგრამ შემდეგ შემტევი სტილის ნახევარმცველი გახდა. ამაში მას დაეხმარა უხარი თვით ყველაზე გამოუვალ სიტუაციებშიც კი შესაფერისი მომენტის შერჩევისა. თუ მის მუხლის ტრავმას რაიმე გართულება მოჰყვა, ეს გდრ-ის გუნდისთვის უდიდესი დანაკლისი იქნება.

### გუნდის შემადგენლობა

ძირითადი მოთამაშეები: იურგენ კროი („ზაქსენრინგი“), ბერნდ ბრანშე („კარლ ცაისი“), იოაკიმ ფრიცშე („ლოკომოტივი“), კონრად ვაიზე („კარლ ცაისი“), ლოტარ კურბიუვაიტი („კარლ ცაისი“), იურგენ შპარვასერი („მაგდებურგი“), რაინჰარდ ლაუკე („დინამო“, ბერლინი), ჰანს-იურგენ კრაიშე („დინამო“, დრეზდენი), ვოლფგანგ ლიოვე („ლოკომოტივი“), პეტერ დუკე („კარლ ცაისი“), იოაკიმ შტრაიხი („ჰანზა“).

მათს გარდა გუნდში არიან: მეკარე ვოლფგანგ ბლოხვიცი („კარლ ცაისი“); მცველები: ფრანკ განზერა („დინამო“, დრეზდენი), გერდ კიშე („ჰანზა“), მანფრედ ზაპფი („მაგდებურგი“), ჰანს-იურგენ დორნერი („დინამო“, დრეზდენი), კლაუს ზამერი („დინამო“, დრეზდენი); ნახევარმცველები: იურგენ პომერენკე („მაგდებურგი“), ჰენინგ ფრენცელი („ლოკომოტივი“), ვოლფგანგ სეგუინი („მაგდებურგი“), ჰელმუტ შტაინი („კარლ ცაისი“); თავდამსხმელები: ფრანკ რიხტერი („დინამო“, დრეზდენი), ჰანს-ბერტ მატოული („ლოკომოტივი“), ებერჰარდ ფოგელი („კარლ ცაისი“).




# მათგან ყველაზე სუსტია ჰაიტის გუნდი

ჰაიტის გუნდი, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის უფლება ცენტრალური და ჩრდილოეთ ამერიკის ზონაში გამარჯვებით მოიპოვა, ვფიქრობ, ყველაზე სუსტია თექვსმეტ ფინალისტს შორის.

მექსიკა ამ ჯგუფის მუდმივი ლიდერი იყო. ეს ნაწილობრივ იმიტომაც ხდებოდა, რომ გუნდების უმეტესობა მთელ უნარსა და შესაძლებლობებს ვერ ავლენდა მეხიკოს პაპანაქებაში და ასეთ სიმაღლეზე. ახლა მექსიკის ფეხბურთი ჩამორჩა, ხოლო მის პირველ ლიგაში 100-ზე მეტი უცხოელი თამაშობს.

ჯგუფიდან მექსიკის გავარდნა იმახაც განაპირობა, რომ კარიბის აუზის დანარჩენმა გუნდებმა (ტრინიდადი, გვატემალა, ჰონდურასი) მოითხოვეს უარი ეთქვათ ამ ქვეყნის წინადადებაზე ჯგუფის ფინალური ტურნირის მეხიკოში ჩატარების შესახებ.

ბეისბოლი ყველაზე პოპულარული სახეობაა ჰაიტიში, მაგრამ უწინ ეს ქვეყანა საფრანგეთის კოლონია იყო და ამიტომ იქ ფეხბურთიც იყო ფეხმოდგმული.

ჰაიტის ნაკრები, ერთი გამონაკლისის გარდა, დაკომპლექტებულია სამი საკლუბო გუნდის — „რასინგ კლუბის“ (იგი ქვეყნის ჩემპიონია), „ექსელსიონისა“ და „ლ'ეგლ ნუარის“ მოთამაშეებით. სამივე ქვეყნის დედაქალაქის პორტ-ო-პრენსის გუნდია და სილვიო კატორის სტადიონზე გამოდის.

ჰაიტელებს დიდ უპირატესობას აძლევდა ის, რომ შესარჩევი თამაშების ფინალურ ტურნირს შინ თამაშობდნენ. გუნდს კიდევ უფრო დაეხმარა ტრინიდადელებთან მატჩში მსაჯის რამდენიმე საეჭვო გადაწყვეტილება.

ტრინიდადს ოთხი გატანილი გოლი არ ჩაუთვალეს და ჰაიტიმ გაიმარჯვა — 2:1. ფიფა-მ არ მიაქცია ამას ყურადღება, მაგრამ მატჩის მთავარ არბიტრს და გვერდითს მსაჯებს აღარ უმსჯიათ ამ შეჯიბრებაში.

ჰაიტის გუნდის მთავარი მოთამაშეები არიან მეკარე ფრანსილონი და ცენტრალური ნაზერი. ნაზერი ერთადერთი მოთამაშეა, რომელიც პორტ-ო-პრენსის რომელიმე კლუბში არ გამოდის. იგი საფრანგეთის II ლიგის გუნდ „ვალენსიენში“ თამაშობს.

მწვრთნელი ანტუან ტასი ამბობს, რომ გუნდში ყველაზე ძლიერი ფეხბურთელია ვორბი. მიუხედავად ამისა, გულშემატკივრებს მარცხენა ინსაიდი სენონი უფრო უყვართ. სენონმა შესარჩევი თამაშების ფინალური ტურნირის ხუთ მატჩში ხუთი გოლი გაიტანა. იგი ძალიან სწრაფია, კარგად ფლობს ბურთს.

დეზირი წმინდა ცენტრფორვარდის ადგილას თამაშობს. ისიც ძალიან ნიჭიერია, ბეიიონთან და სენტ ვილთან ერთად აშშ-ს ერთ-ერთ პროფესიულ გუნდში ირიცხებოდა.

ორი წლის წინათ ჰაიტელებმა იტალიელი სპეციალისტი ეტორე ტრევიზანი მიიწვიეს, რათა გუნდს რაიმე გადმოეღო ევროპული ფეხბურთიდან. 1973 წელს ტრევიზანთან კონტრაქტს ვადა გაუვიდა და იგი აღარ განაახლეს. 49 წლის ტასი უკვე 12 წელია ნაკრების უფროს მწვრთნელად მუშაობს.

დასავლეთ გერმანიაში ჰაიტი უფრო მეტად გამოიყენებს დაცვითს სისტემას, ვიდრე შესარჩევ თამაშებში. მაგრამ ჯერ გაურკვეველია, ამას გუნდში დამატებითი მცველების შეყვანით ფიქრობენ, თუ იმავე თერთმეტი ფეხბურთელის უფრო კოლექტიური თამაშით.

მექსიკის გუნდის მენეჯერი ამბობს, რომ ჰაიტელები ძლიერნი არიან ინდივიდუალურად, მაგრამ სუსტი დაცვა აქვთ, რომელსაც გაბედული ფორვარდები იოლად მოარგებენ გასაღებს.

ამას წინათ ტასიმ თქვა, რომ ევროპაში არასოდეს უთამაშია და ამირებს დიდი უსიამოვნება მიაყენოს ვილაც-ვილაცეებს. „წინა მსოფლიო ჩემპიონატებმა არაერთი სენსაციური შედეგი მოგვიტანა, ჩვენს ფეხბურთელებს კი შესწევთ უნარი გაერკვნენ თავიანთს თავში და თავიანთს თამაშში. თუ ისინი მალე ჩადგებიან კალაპოტში, შეიძლება გავაკვირვოთ მაყურებელი“, — განაცხადა ტასიმ.

თუმცა, ზოგიერთს ისიც კი გაუკვირდება, თუ ჰაიტი ერთი გოლის გატანას მაინც მოახერხებს.

### გუნდის შემადგენლობა

ძირითადი გუნდი: ჰენრი ფრანსილონი, უილმერ ნაზერი, მარით ლეანდრი, ერნესტ ჟან-ჟოზეფი, ოგუსტ არსენა, ფილიპ ვორბი, ჟან-კლოდ დეზირი, პიერ ბეიიონი, გი სენტ ვილი, ემანუელ სენონი, ედი ანტუანი.

(„მორნინგ სტარი“, ლონდონი).




### მირანდინიო — უსწრაფესი ფეხბურთელი

ბრაზილიელი მიმომხილველების აზრით, მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში ძლიერად უნდა ითამაშოს ნაკრების ახალმა წევრმა მირანდინიომ („სან პაულუ“), რომელიც ბრაზილიაში უსწრაფეს ფეხბურთელად ითვლება.

ამას წინათ ბრაზილიის ნაკრების წევრებს შეჯიბრება ჰქონდათ რბენაში. მირანდინიომ ყველას გაასწრო და 50 მ 5,1 წამში გაირბინა.

### კრაიშეს ახალი ტრავმა

გდრ-ის ერთ-ერთმა უძლიერესმა ფეხბურთელმა კრაიშემ, რომელიც ტრავმის გამო დიდხანს არ გამოსულა სარბიელზე, გამოჯანმრთელების შემდეგ კვლავ განაახლა თამაში ეროვნულ ნაკრებში, მაგრამ ისევ დაშავდა.

ახლა კრაიშე მკურნალობს და ნაკრების ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ იგი ითამაშებს მსოფლიო ჩემპიონატში.

# „ფეიენოორდი“ — თასის მფლობელი

როტერდამი, 30 მაისი. ჰოლანდიის „ფეიენოორდი“ გუშინ აქ უეფა-ს თასის გათამაშების მეორე ფინალურ მატჩში შეხვდა ლონდონის „ტოტენჰემს“ და დაამარცხა იგი ანგარიშით 2:0 (1:0). როგორც ცნობილია, პირველი შეხვედრა, რომელიც ლონდონში გაიმართა, დამთავრდა ფრედ — 2:2.

ამრიგად, უეფა-ს თასის მფლობელი გახდა „ფეიენოორდი“. ჰოლანდიელ გულშემატკივართა სიხარული დაჩრდილეს „ტოტენჰემის“ მოთამაშეთა გასამხნევებლად ლონდონიდან სპეციალურად ჩამოსულმა ფეხბურთის მოყვარულებმა. თავიანთი გუნდის წაგებით განაწყენებულნი, ისინი მატჩის შემდეგ მინდორზე ბოთლებს ისროდნენ, სახლების ფანჯრების მინებს ამტვრევდნენ და ზოგიერთი ისე გათავხედდა, რომ დაჭრა კიდეც ადგილობრივი მცხოვრებლები. პოლიცია იძულებული შეიქნა ზოგიერთი თავზე ხელაღებული „სტუმარი“ დაეპატიმრებინა.

### რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტული ამბები

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 2 ივნისი. „ისნის“ სტადიონი. „განთიადი“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი). დასაწყისი 12 ს. „სიჭაბუკის თასი“. „დინამოს“ ბაზა დიღომში. „დინამო“ (თბილისი) — სპორტსკოლა (ცხინვალი). 14 ს. „ავაზა“ (თბილისი) — ახ. საფეხბ. სკოლა (თბილისი) 12 ს.

მოტობურთი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. დღეს. სსრ კავშირის პირველობა „ბ“ კლასის გუნდებს შორის. „ივერია“ (თბილისი) — „მასისი“ (ერევანი). დასაწყისი 17 ს.

მძლეოსნობა. 2 ივნისი. ესტაფეტა „ქალაქის წრე“ გაზეთ „კომუნისტის“ პრიზზე. სტარტი და ფინიში საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის წინ. დასაწყისი 10 ს.

რაგბი. ასკ-ს სტადიონი. უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატი. 2 ივნისი. „განთიადი“ (თბილისი) — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი). დასაწყისი 18 ს.

## მსოფლიოს ფეხბურთის ამბები

### საუკეთესოა კალაგანი

დამთავრებული სეზონის შედეგების მიხედვით ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულია „ლივერპულის“ ნახევარმცველი, 32 წლის ი. კალაგანი. 1959 წლიდან მოყოლებული, მან კლუბის შემადგენლობაში 652 მატჩი ჩაატარა და გაფრთხილებაც კი არც ერთხელ არ მიუღია.

კალაგანმა 3 ხმით აჯობა „ლიდს იუნაიტედის“ კაპიტანს, ნახევარმცველ ბ. ბრემნერს.

### დიდის აზრით

განთქმული ბრაზილიელი სპეციალისტი ვ. პერეირა (დიდი) უახლოეს წლებში ისევ თურქეთში დარჩება სტამბულის „ფენერბახჩეს“ მწვრთნელად.

— იმის მიუხედავად, თუ როგორ გამოვა ეროვნულ შეჯიბრებებში „ფენერბახჩე“, მე მაინც ვაპირებ თურქეთში დარჩენას. მინდა აქ დავაარსო ფეხბურთის სკოლა ბრაზილიური პრინციპების შესაბამისად. მე უკვე ვითამაშე გარკვეული როლი ამ ქვეყანაში საფეხბურთო რეფორმების ჩატარებაში და, თუმცა, თურქეთს ჯერ არ ჰყავს საერთაშორისო კლასის ფეხბურთელები, ისეთი ატმოსფერო შეიქმნა, რომ ისინი მალე უნდა გამოჩნდნენ.

— ჩემი სურვილია, — დასძინა დიდიმ, — ეროვნული ნაკრების მწვრთნელობა, მე არსად მინახავს ფეხბურთისადმი ისეთ ინტერესს იჩენდნენ, როგორც თურქეთში.

### 10 ათასი გოლი — ეს რეკორდია!

როგორც შოტლანდიური კლუბის „გლაზგო რეინჯერსის“ ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, ამას წინათ მისმა ერთ-ერთმა მოთამაშემ გაიტანა მეექვსიათასე გოლი შოტლანდიის ჩემპიონატებში. მაგრამ, ამას გარდა, არსებობს შოტლანდიის თასის გათამაშება, ევროპის ტურნირები. თუ აქ გატანილ ბურთებსაც გავითვალისწინებთ, გამოდის დაახლოებით 10 ათასამდე გოლი, რაც საერთაშორისო ფეხბურთის არნახულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 10646